



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

29.09.2014

№ 37

სარჩევი

საქართველო.....	3
იმერეთის რეგიონში “ხუნევი-ჰესის” მშენებლობასა და ოპერირებას GOLD LEAF განახორციელებს	3
საქართველოდან სომხეთში ელექტროენერჯის ექსპორტი გაიზარდა	3
რეგიონი	4
აბშერონის საბადოს განვითარება 2021 წელს დაიწყება	4
თურქეთის ეკონომიკაში აზერბაიჯანის ინვესტიციები 4 ჯერ გაიზარდება	5
სომხეთი ენერჯეტიკის განვითარების პროგრამას წლის ბოლომდე გამოაქვეყნებს	6
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	7
„გაზპრომი“ ევროპის ბაზრის წილის ზრდას ელოდება	7
ახალი გაზსადენის ოპერირების დაგვიანების გამო მოლდოვა შესაძლოა კვლავ რუსულ გაზს დაუბრუნდეს.....	8
უზბეკეთი ქარის სადგურების მშენებლობას 2016 წელს დაიწყებს.....	9
ევროპა	10
სერბეთი ზამთრის ენერჯოკრიზისთვის ემზადება.....	10
ნორვეგიის ენერჯეტიკის მინისტრი: „სანქციები გავლენას არ მოახდენს რუსულ- ნორვეგიულ ენერგოურთიერთობებზე“	11
საბერძნეთი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს.....	12
მსოფლიო.....	14
ირანი არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან ბენზინის ერაყში ტრანზიტს განახორციელებს	14
საუდის არაბეთი 2010 წლიდან იყენებს ყველაზე ბევრ ნედლ ნავთობს ელექტროენერჯის წარმოებისთვის.....	15
ანალიტიკა	17
განახლებადების მაღალი ხარჯები	17

იმერეთის რეგიონში “ხუნევი-ჰესის“ მშენებლობასა და ოპერირებას GOLD LEAF განახორციელებს

იმერეთის რეგიონში, ხუნევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად კომპანია GOLD LEAF გამოვლინდა.

გადაწყვეტილებაზე განკარგულება მთავრობამ უკვე გამოსცა და ენერჯეტიკის სამინისტროს დაავალა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი საქართველოს მთავრობას წარუდგინოს.

ენერჯეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, „ხუნევი ჰესი“-ს დადგმული სიმძლავრე 11.3 მვტ-ია, წლიური გამომუშავება კი - 61.64 მლნ კვტ.სთ.

პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 19.78 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

კომპანია GOLD LEAF საქართველოში 2012 წლის 10 აგვისტოს დაფუძნდა.¹

საქართველოდან სომხეთში ელექტროენერჯის ექსპორტი გაიზარდა

საქართველოდან სომხეთში ერთი წლის განმავლობაში ელექტროენერჯის ექსპორტი თითქმის გაორმაგდა. ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული



ოპერატორის (ესკო) მონაცემებით, იანვარ-აგვისტოში სომხეთში ექსპორტზე 140.464 მლნ კვტ. საათი ელექტროენერჯია გავიდა, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში - 73.16 მლნ კვტ საათი.

მიმდინარე წლის აგვისტოში სომხეთში 9.047 მლნ კვტ. საათი ელექტროენერჯია ექსპორტირებული, რაც 34%-ით არის შემცირებული მიმდინარე წლის ივლისთან შედარებით. 2013 წლის აგვისტოში კი სომხეთში ელექტროენერჯის ექსპორტი საერთოდ არ განხორციელებულა.

2011 წლის შემდეგ, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში და 2014 წლის 8 თვის მონაცემებით, თურქეთში ექსპორტირებულია 189 მლნ. კვტ საათამდე ელექტროენერჯია. მაქსიმალური იყო ექსპორტი თურქეთში ივლისში, რომლის მოცულობა 162.26 მლნ კვტ.საათით განისაზღვრა, აგვისტოში კი ეს მაჩვენებელი 10.05 მლნ კვტ საათს შეადგენს.

¹ <http://kutaistoday.com/?p=8168>

საქართველოდან ელექტროენერჯის ექსპორტი ხორციელდება რუსეთსა და აზერბაიჯანში. პირველ შემთხვევაში ელექტროენერჯის ექსპორტმა 8 თვის განმავლობაში 160 მლნ კვტ. საათი შეადგინა, აზერბაიჯანში კი მხოლოდ 8.025 მლნ კვტ საათი.

აღანიშნავია, რომ აგვისტოში საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტი მხოლოდ აზერბაიჯანიდან განხორციელდა და მან 75 მლნ კვტ. საათი შეადგინა, 8 თვეში კი ეს მოცულობა 139.2 მლნ კვტ. საათს შეადგენს.

იმპორტი ხორციელდება რუსეთიდანაც. 2014 წლის 8 თვეში საქართველოში იმპორტირებულია 221.8 მლნ კვტ საათი ელექტროენერჯია.

7 თვეში საქართველომ ექსპორტზე სულ 497 მლნ კვტ საათი ელექტროენერჯია გაიტანა, იმპორტით კი ქვეყანაში 362.170 მლნ კვტ. საათი ელექტროენერჯია შემოვიდა.²

რეგიონი

აზერბაიჯანის საბადოს განვითარება 2021 წელს დაიწყება

აზერბაიჯანის ენერჯეტიკის მინისტრის ნატიგ ალიევის ცნობით, კასპიის ზღვის აზერბაიჯანის ზონაში არსებული აზერბაიჯანის გაზის კონდენსატის საბადოს განვითარება 2021 წელს დაიწყება.

ალიევა განაცხადა, რომ უმიდისა და აზერბაიჯანის საბადოების განვითარება აზერბაიჯანის გაზის პოტენციალის გაძლიერების საფუძველს წარმოადგენს.

აზერბაიჯანის ენერჯეტიკის მინისტრმა შაჰ დენიზის პროექტზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ პროექტის მეორე ეტაპის განვითარება მნიშვნელოვანი იქნება ბუნებრივი აირის მიწოდების თვალსაზრისით. ამ პროექტში ჯამურად 45 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება იგეგმება, საიდანაც 25 მლრდ აშშ დოლარი თვითონ საბადოს განვითარებას, ხოლო



დანარჩენი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნას მოხმარდება.

აზერბაიჯანის საბადოს აღმოჩენის შესახებ განცხადება 2011 წლის სექტემბერში გავრცელდა.

²http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=29229%3A2014-09-19-06-04-13&catid=28%3A2011-11-06-17-04-50&lang=ka

საბადოს სავარაუდო რეზერვი 350 მლნ კუბური მეტრი გაზი და 45 მლნ ტონა კონდენსატია.

აბშერონის პროექტში შემდეგი კომპანიები მონაწილეობენ: „სოკარი“ (40%), ფრანგული „ტოტალი“ (40%) და „გაზ დე ფრანს სუეზი“ (20%).

საძიებო სამუშაოებზე შეთანხმებას ხელი 2009 წლის 27 თებერვალს „სოკარმა“ და „ტოტალმა“ მოაწერა. შემდეგ „სოკარმა“ 20%-იანი წილი „გაზ დე ფრანს სუეზს“ მიჰყიდა.³

თურქეთის ეკონომიკაში აზერბაიჯანის ინვესტიციები 4 ჯერ გაიზარდა

ბაქოში გამართულ რეგიონალურ კონფერენციაზე კომპანია „სოკარის“ ვიცე-პრეზიდენტის სულეიმან გასიმოვის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, ტრანს-ანატოლიის გაზსადენის მშენებლობით აზერბაიჯანი თურქეთის ეკონომიკაში 20 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ამ დრომდე აზერბაიჯანის ინვესტიციების მოცულობა თურქეთში 5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. „ტანაპის“ პროექტის ფარგლებში აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან თურქეთის გავლით გაზის ევროპაში ტრანსპორტირება დაგეგმილია.

გაზსადენის საწყისი გამტარუნარიანობა წლიურად 16 მლრდ კუბ.მ იქნება. დაახლოებით 6 მლრდ კუბ.მ გაზი მიეწოდება თურქეთს, დანარჩენი კი - ევროპის სხვა ქვეყნებს. მომავალში დაგეგმილია გაზსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა 31 მლრდ კუბ.მ-მდე. გაზსადენის ოპერირების დაწყება 2018 წლისთვისაა დაგეგმილი, რომლის სავარაუდო ღირებულება 10-დან 11 მლრდ აშშ დოლარამდე მერყეობს.

გასიმოვის ცნობით, „სოკარი“ ინვესტირებას ახდენს ასევე „პეტკიმის“ კომპლექსში, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანა „სტარში“ (სიმძლავრით 10 მლნ მეტრული ტონა), საკონტეინერო ტერმინალსა და ელექტრო სადგურებში, რაც „პეტკიმის“ კომპლექსის განვითარებისთვის აუცილებელია. 2008 წელს „სოკარმა“ „პეტკიმის“ ქიმიური კონცერნის 51%-იანი წილის ყიდვის ტენდერი მოიგო. ამჟამად კომპანია აღნიშნული კონცერნის 61.32%-ს ფლობს, ხოლო დარჩენილი 38.67% სტამბულის აქციათა ბირჟაზე თავისუფალ მიმოქცევაშია.

2014 წლის პირველ ნახევარში კომპანიის ბრუნვამ 2.44 მლრდ თურქული ლირა შეადგინა. მიმდინარე წლის იანვარი-ივნისის პერიოდში კომპლექსის წმინდა მოგება 55 მლნ თურქული ლირა იყო, რაც 2013 წლის იმავე მაჩვენებელს 11-ჯერ აღემატება.⁴

³ http://www.azernews.az/oil_and_gas/71065.html

⁴ <http://en.trend.az/business/finance/2315450.html>

სომხეთი ენერგეტიკის განვითარების პროგრამას წლის ბოლომდე გამოაქვეყნებს

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ჰოვიკ აბრაჰამიანის მიერ ინიცირებულ „მსოფლიო ბანკის“ წარმომადგენლებთან და მთავრობის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა იერვანდ ზახარიანმა განაცხადა, რომ ენერგეტიკის განვითარების პროგრამისთვის საჭირო ყველა ზომას იღებენ ქვეყანაში.



მისი აზრით, პროგრამა წლის დასასრულამდე მომზადდება.

„მსოფლიო ბანკის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონის დირექტორმა ჰენრი კერალიმ მაღლობა გადაუხადა სომხეთის მთავრობას თანამშრომლობისთვის და ისაუბრა ენერგეტიკულ სექტორში ჩატარებული კვლევის შედეგებზე.

მან ხაზი გაუსვა 15 წლის განმავლობაში გადადგმულ ნაბიჯებსა და წინსვლას და ისაუბრა მომავალი რეფორმების საჭიროების შესახებ.

„მსოფლიო ბანკის“ წარმომადგენლებმა, რომლებმაც შესაბამისი კვლევა ჩატარეს, წარმოადგინეს სომხეთის ენერგეტიკაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ენერგეტიკული უსაფრთხოების, ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ენერგომომარაგების საიმედოობის გაზრდის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დარგში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის საკითხს.

შედეგების შეჯამებისას პრემიერ-მინისტრმა მაღლობა გადაუხადა „მსოფლიო ბანკის“ წარმომადგენლებს გაწეული დახმარებისა და ეფექტური თანამშრომლობისთვის და განაცხადა, რომ მთავრობის მიზანს ეკონომიკის აღმავლობისთვის ენერგეტიკული სექტორის განვითარება წარმოადგენს.

კერალიმ მხარდაჭერა აღუთქვა სომხეთის მთავრობას და განაცხადა, რომ ისინი მას ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურებით კვლავ დაეხმარებიან.⁵

⁵ http://arka.am/en/news/economy/energy_development_program_to_be_ready_in_armenia_this_year/

„გაზპრომი“ ევროპის ბაზრის წილის ზრდას ელოდება

„გაზპრომის“ მოლოდინით, მიუხედავად მსოფლიო ენერგო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებისა, კომპანიის წილი მომდევნო 10 წლის განმავლობაში ევროპულ ბაზარზე კიდევ უფრო გაიზრდება. კომპანიის მთავარი აღმასრულებლის ალექსეი მილერის განცხადებით, კომპანია ევროკავშირის მასშტაბით ბაზრის ძირითადი მოთამაშე გახდება. მისი განცხადებით, 2014 წლის განმავლობაში ევროპის გაზის იმპორტის 64%-ზე მეტი სწორედ რუსულ კომპანიაზე მოდიოდა, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში 17%-ით გაიზარდა. მილერი დარწმუნებულია, რომ ეს მაჩვენებელი მომდევნო 10 წლის განმავლობაში კვლავ მზარდი იქნება. ბოლო წლების ტენდენციის მიხედვით, „გაზპრომის“ წილი თანდათან იზრდება ევროპულ ბაზარზე, რაც მილერის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს.



2010 წლიდან ევროკავშირის მთლიან მოხმარებაში რუსეთის წილი 23%-დან 30%-მდე გაიზარდა. ბოლო თვეებში რუსეთი კიდევ უფრო მეტი გაზის მიწოდებას ახდენს ევროპისთვის, რადგან შემცირებულია ადგილობრივი მოპოვება და სხვა წყაროებიდან მიწოდება. უკრაინიდან გაზის მიწოდების შესაძლო საფრთხის გათვალისწინებით, ევროპელი კლიენტები „გაზპრომისგან“ კიდევ უფრო მეტი მოცულობის ბუნებრივ აირს ყიდულობენ.

მილერის განცხადებით, კომპანიას ევროპის მზარდი მოთხოვნის სრულად უზრუნველყოფის შესაძლებლობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია აზიისთვის დიდი მოცულობით ბუნებრივი აირის მისაწოდებლად ემზადება. მიუხედავად

ევროკავშირის მცდელობისა, შეამციროს რუსულ გაზზე დამოკიდებულება, „გაზპრომი“ კვლავ მოიაზრება ერთ-ერთ უმთავრეს მიმწოდებელ წყაროდ.⁶

ახალი გაზსადენის ოპერირების დაგვიანების გამო მოლდოვა შესაძლოა კვლავ რუსულ გაზს დაუბრუნდეს

უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული სიტუაციის გამო, კიდევ ერთი ბრძოლა ქვეყნებს შორის, შესაძლოა, გაზის საკითხის გამოც დაიწყოს, რაც სავარაუდოდ უკრაინის პატარა მეზობელ მოლდოვასაც შეეხება.



ამჟამად მოლდოვა, რომელმაც ახლახანს მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რუსულ გაზზეა დამოკიდებული, რომელიც უკრაინის მეშვეობით მიეწოდება. „მოლდოვაგაზი“, რომელიც ნახევრად რუსული ენერჯო გიგანტის „გაზპრომის“ მფლობელობაშია, ხოლო 35.3%-ს მოლდოვის მთავრობა ფლობს, ქვეყანაში გაზის დისტრიბუციას აკონტროლებს. აგვისტოს ბოლოს მოლდოვა-რუმინეთის დამაკავშირებელი 43 კმ სიგრძის გაზსადენი გაიხსნა, რისი უმთავრესი მიზანიც რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება იყო. გაზსადენი რუმინეთის ქალაქ იასიდან მოლდოვის ჩრდილოეთ ქალაქ უნგენიმდეა აშენებული, რომელიც 26 მლნ ევროს ღირებულებისაა და მისი გამტარუნარიანობა 1.5-2 მლრდ კუბ.მ-ია, რაც რუსეთიდან იმპორტირებული გაზის მოცულობას აჭარბებს (წლიურად 1.1 მლრდ კუბ.მ). თუმცა გაზსადენი საწყის ეტაპზე მცირე მოცულობით დაიწყებს ოპერირებას, რაც ქვეყნის მოთხოვნის მხოლოდ 8-9%-ს უზრუნველყოფს. თავდაპირველად მისი ექსპლუატაციაში გაშვება 1 სექტემბერს იგეგმებოდა, მაგრამ იგი ოქტომბრის თვეში გადაიდო. ასევე პრობლემატურია ის

⁶NewsBase, FSUOGM, Issue 801, 24 September 2014, Gazprom expects to continue gaining market share in Europe

საკითხიც, რომ ჯერ-ჯერობით რუმინეთიდან შესასყიდი გაზის ფასი განსაზღვრული არ არის.

ევროკავშირი რუსეთზე ზეწოლას გეგმავს უკრაინის გაზის ფასებთან დაკავშირებით და სავარაუდოდ ეს მოლდოვაზეც აისახება.

„ჩვენ ძალიან სპეციფიკურ სიტუაციაში ვიმყოფებით, რადგან მოლდოვის გაზის დისტრიბუტორი „გაზპრომის“ წარმომადგენელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ „მოლდოვაგაზისთვის“ რუმინეთის გაზის შესასყიდად სპეციალური ფორმულა უნდა შევიმუშავოთ“ - გაზსადენის გახსნის ცერემონიაზე მოლდოვის პრემიერმა განაცხადა. მოლაპარაკებები რუმინეთის „რომგაზს“, მოლდოვის მთავრობასა და „მოლდოვაგაზს“ შორის ამჟამადც მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებული არ არის.

მოლდოვის ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ უკრაინას რუსეთისგან მიწოდება შეუწყდება, მოსკოვმა და ბუქარესტმა შესაძლოა მოლდოვისთვის რუსული გაზის რუმინეთის მეშვეობით მიწოდებაზე მოილაპარაკონ. მისი განცხადებით, რუმინეთი-მოლდოვის გაზსადენის პროექტი „გაზპრომის“ საწინააღმდეგოდ მიმართული არაა, თუმცა მოლდოვის მიწოდების დივერსიფიკაციას გულისხმობს. ანალიტიკოსების აზრით, რუმინეთის გაზის მიღებით, მოლდოვისთვის გაზის ფასთან დაკავშირებული „შანტაჟი“ დასრულდება. ამჟამად ფასი ყოველ 1 000 კუბ.მ-ზე 420 აშშ დოლარს შეადგენს.⁷

უზბეკეთი ქარის სადგურების მშენებლობას 2016 წელს დაიწყებს

უზბეკეთის ენერჯეტიკისა და ავტომატიზაციის ინსტიტუტის დირექტორის ჰაკიმ მურატოვის განცხადებით, ქვეყანას ვალდებულება აქვს აღებული, რათა მომდევნო ორი წლის განმავლობაში ქარის სადგურების მშენებლობა დაიწყოს. მისი თქმით, 2016 წლისთვის ქვეყნის სხვადასხვა ადგილას დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. პროექტების დასრულების შემდეგ კი, ქვეყანას ჯამურად 100 მგვტ. სიმძლავრის ქარის სადგურები შეემატება, რაც უზბეკეთს საშუალებას მიცემს ბუნებრივი გაზის მოხმარება ყოველწლიურად 68 მლნ კუბ.მ-ით შეამციროს.

უზბეკეთი მზადაა ქარის სადგურების მშენებლობაში 2020 წლისთვის 200 მლნ აშშ დოლარი დახარჯოს, რაც 2-3 მგვტ სიმძლავრის ტურბინების განთავსებას ითვალისწინებს. მურატოვის ცნობით, ამ დრომდე კონკრეტული ადგილები ქარის სადგურების ასაშენებლად გამოყოფილი არ არის, რადგან ჯერ კიდევ მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები შესაფერისი ადგილების შესარჩევად. გერმანულმა კომპანია „გეო-

⁷ <http://oilprice.com/Energy/Natural-Gas/Pipeline-Delays-May-See-Moldova-Return-To-Russia-For-Its-Gas.html>

ნეთმა“ უზბეკეთის სახელმწიფო ენერგო პროვაიდერ „უზბეკენერგოსთან“ კონტრაქტი გააფორმა კვლევითი სამუშაოების ჩატარებაზე. კომპანია ამჟამად ქვეყნის არსებული ქარის პოტენციალის შესწავლით არის დაკავებული და შესაბამისი ინფორმაცია 2015 წლის შუა პერიოდისთვის იქნება ხელმისაწვდომი.⁸

ევროპა

სერბეთი ზამთრის ენერგოკრიზისთვის ემზადება

მაისში მომხდარი წყალდიდობის გამო, სერბეთმა გათბობის სეზონისთვის საკმარისი ქვანახშირის უზრუნველსაყოფად, მოსახლეობასა და ბიზნეს მომხმარებლებზე ქვანახშირის მიყიდვა აკრძალა. სახელმწიფო ენერგო კომპანია „ელექტროპრივრედა სრბიემ“ (EPS) „კოლუბარასა“ და „კოსტოლაჩის“ საბადოებიდან საცალო და საბითუმო მომხმარებლებისთვის მიწოდება შეაჩერა, რათა ზამთარში თბოსადგურებისთვის მისაწოდებლად საკმარისი რაოდენობა დარჩეს.

„კოლუბარას“ საბადოს 4 შახტა მაისის წყალდიდობის დროს, რომელიც საუკუნის განმავლობაში ქვეყნისთვის ყველაზე დიდი კატასტროფა იყო, მლიანად დაზიანდა. „პოლიე ბ“ და პოლიე დ“ შახტები ნაწილობრივ დატბორილი იყო, რომლებმაც ივნისში განაახლეს მუშაობა. რაც შეეხება „ველიკი კრლიენისა“ და „ტამნავა ზაპადნო პოლიეს“ შახტებს, რომელიც „კოლუბარას“ წარმოების 2/3 შეადგენს, სრულიად დაიტბორა. „ველიკი კრლიენის“ შახტამ ოპერირება აგვისტოში განაახლა მას შემდეგ, რაც შახტიდან 22 მლნ კუბ.მ წყალი ამოტუმბეს. ამ დროისათვის „ტამნავა ზაპადნო პოლიედან“ 187 მლნ კუბ.მ წყლის ამოტუმბვა მოხდა.

სერბეთის ენერგეტიკისა და სამთო მოპოვების მინისტრის ალექსანდრე ანტიჩის განცხადებით, „ტამნავა ზაპადნო პოლიეს“ შახტა, რომელიც ქვეყნის ენერგეტიკის სტაბილურობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, 2014 წლის ბოლოს განაახლებს ოპერირებას. „კოლუბარას“ საბადო EPS-ის ქვანახშირის წარმოების 70%-ს შეადგენს და ქვეყნის ელ.ენერგიის მიწოდების 50%-ს უზრუნველყოფს. ქვანახშირის საბადოს ეს კომპლექსი ჩვეულებრივი დღეში 90 000 ტონა ქვანახშირს აწარმოებს, ხოლო ამჟამად ეს მაჩვენებელი ზევით აღნიშნული მიზეზების გამო 65 000 ტონას შეადგენს. კომპანიის გეგმების მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში 30.4 მლნ ტ. ქვანახშირის წარმოება იყო დაგეგმილი, თუმცა წყალდიდობის შემდეგ ეს რიცხვი 24.6 მლნ ტონამდე შემცირდა.

⁸ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 732, 24 September 2014, Uzbekistan hopes to begin building wind farms in 2016

სერბეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენლის ცნობით, ქვეყანა 3 მლნ ტ. ქვანახშირისა და 1 მლრდ კვტ.სთ ელ.ენერჯის იმპორტის განსახორციელებლად ემზადება ზამთრის პერიოდში, რათა ქვეყანამ ენერჯო კრიზი თავიდან აიცილოს. სერბეთის ვიცე-პრემიერი თქმით, ქვეყანა ყოველდღიურად ელ.ენერჯის იმპორტში საშუალოდ 514 000 აშშ დოლარს იხდის.⁹

ნორვეგიის ენერჯეტიკის მინისტრი: „სანქციები გავლენას არ მოახდენს რუსულ-ნორვეგიულ ენერჯოურთიერთობებზე“

როგორც ნორვეგიის ენერჯეტიკის მინისტრმა ტორდ ლიენმა Aftenposten-ს ხუთშაბათს განუცხადა, აღმოსავლეთის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ გვალენას ვერ მოახდენს ნორვეგიულ კონტინენტურ შეღვზე რუსული და ნორვეგიული ნავთობისა და გაზის კომპანიების თანამშრომლობის საკითხზე.

ლიენის ციტირებას ახდენს ნორვეგიული გაზეთი Aftenposten, რომლის მიხედვითაც, „შემზღუდველი ზომები მიმართულია რუსეთისკენ და არა ევროკავშირის, ან ნორვეგიისკენ. ჩვენ მივესალმებით იმ კომპანიებს, რომლებიც ითვალისწინებენ ნორვეგიაში არსებულ წესებსა და მოთხოვნებს“.



მინისტრის თქმით, ნორვეგია აპირებს გახსნას ახალი სალიცენზიო რაუნდი დეკემბერში, რომელიც ნავთობისა და გაზის კომპანიებს საშუალებას მისცემს, პირველად წლების განმავლობაში, იმოქმედონ ნორვეგიული კონტინენტური შეღვის ახალ ფართობზე. ნორვეგიის ხელისუფლებას განზრახული აქვს 2016 წლის გაზაფხულზე გააკეთოს არჩევანი.

⁹NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 732, 24 September 2014, Serbia braces for energy crisis this winter

ზოგიერთმა 40 კომპანიიდან, მათ შორის რუსეთის ენერჯის გიგანტებმა „ლუკოილმა“ და „როსნეფტმა“, შეიმუშავა თავისი ვარაუდი, იმის თაობაზე, თუ რომელ ფართობზე უნდა დაუშვას ნორვეგიის მთავრობამ ნავთობისა და გაზის ოპერაციების დაწყება.

ლუნდმა კითხვაზე, იქონიებს თუ არა სანქციები გავლენას ნორვეგიის „სტატოილისა“ და რუსეთის „როსნეფტის“ ერთობლივ საქმიანობაზე, განაცხადა, რომ მათი საქმიანობა „როსნეფტთან“ ნორვეგიის რელიეფზე გრძელდება გეგმის მიხედვით, რითაც აღნიშნა, რომ სტრატეგიული პარტნიორული საქმიანობა კომპანიებს შორის კვლავაც გაგრძელდება.

ნორვეგიის სახელწიფოს კუთვნილებაში მყოფი ენერგეტიკული გიგანტი „სტატოილი“ „როსნეფტის“ პარტნიორია. „როსნეფტის“ აქციების უდიდესი ნაწილი რუსეთის ხელისფულების მფლობელობაშია. კომპანიები ერთობლივად მუშაობენ ბარენცის ზღვისა და ოხოტსკის ზღვის პროექტებზე, ასევე, საპილოტე პროექტებზე ციმბირში მძიმე ნავთობისა და სამარას რეგიონში ფიქალის ნავთობის თაობაზე.

ნორვეგიამ, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მხარი დაუჭირა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის კრიზისში მონაწილეობის გამო, თუმცა ეს ბრალდება რუსეთმა არაერთხელ უარყო.

შეზღუდვები მიმართულია რუსული საბანკო სისტემის, ნავთობისა და თავდაცვის სექტორის მიმართ და კრძალავს რუსული კომპანიებისთვის ნავთობის მოპოვების პროცესში ტექნიკური, ან რაიმე სხვა ტიპის დახმარების აღმოჩენას, განსაკუთრებით ჩრდოლოეთის ზღვის არეში მიმდინარე ბუღვისა და ფიქალების ნავთობის პროექტებში.¹⁰

საბერძნეთი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის ანტონის სამარასის განცხადებით, რომლის ციტირებასაც ახდენს „ფორბსი“, საბერძნეთი ამყარებს პოზიციებს და აძლიერებს საკუთარ როლს საერთაშორისო ენერგეტიკულ სცენაზე და ხდება, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ისე კონტინენტური ევროპის ინტერესის საგანი.

ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საბერძნეთი დიდი ხნის განმავლობაში იყო დამოკიდებული ენერჯის იმპორტზე. თუმცა, ბოლო პერიოდში ქვეყანა კონცენტრირებულია საკუთარი ენერჯის წყაროს პოტენციალის ხელის შეწყობაზე. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ადგილობრივ წყლებში არსებული 4.7 ტრილონი

¹⁰ <http://en.ria.ru/politics/20140925/193285861/Norwegian-Energy-Minister-Sanctions-Not-to-Affect.html>

კუბური მეტრის გაზის რესურსი საკმარისია იმისთვის, რომ ერთ დღესაც დააკმაყოფილოს ევროპის მოთხოვნის 25 პროცენტამდე.

„ბიპის“ ბოლო სტატისტიკური მიმოხილვის მიხედვით, 2013 წელს საბერძნეთში გაზის მოხმარება შეადგენდა 3.6 მლრდ კუბურ მეტრს, რაც 2012 წლის მაჩვენებელთან



შედარებით 11.55-ით ნაკლები იყო. ჯამში, საბერძნეთმა მოახდინა 3 მლრდ კუბური მეტრი გაზის იმპორტი მილსადენის მეშვეობით. აქედან, 2.4 მლრდ კუბური მეტრი გაზი იმპორტირებული იყო რუსეთიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთის მიერ მოხმარებული გაზის

50%-ზე მეტი რუსული იმპორტისგან შედგება.

საბერძნეთი იქნება საწყისი წერტილი ევროპული მიმართულების ტრანსპორტირების იმ მარშრუტისთვის, რომლის გავლითაც 2019 წელს ევროკავშირის ქვეყნები მიიღებენ აზერბაიჯანულ გაზს. გაზის ტრანსპორტირება მოხდება „ტრანს-ადრიატიკული გაზსადენის“ (TAP) გავლით და მოცულობა შეადგენს 10 მლრდ კუბურ მეტრს, მომავალში ამ რიცხვის გაზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ევროპელი მყიდველების კომერციული კონტრაქტების საფუძველზე, საბერძნეთი მიიღებს დაახლოებით 1 მლრდ კუბურ მეტრ აზერბაიჯანულ გაზს.

ანტონის სამარასმა ბაქოში ვიზიტისას განაცხადა, რომ TAP-ის მშენებლობა საბერძნეთისთვის პრიორიტეტულია და მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გადამკვეთ მილსადენებთან დაკავშირების პერსპექტივა დიდი სარგებლის მომტანი იქნება.

TAP-ი დაკავშირებული იქნება „ტრანს-ანატოლიურ გაზსადენთან“ (TANAP)-თან თურქეთ-საბერძნეთის საზღვართან ახლოს კიპოიში. სამხრეთ იტალიამდე იგი გადაკვეთს საბერძნეთს, ალბანეთსა და ადრიატიკის ზღვას. მილსადენის მშენებლობის დაწყება იგეგმება 2016 წლისთვის.

მილსადენის საწყისი გამტარუნარიანობა იქნება 10 მლრდ კუბური მეტრი წელიწადში, მაგრამ შესაძლებელია მისი მარტივად გაზრდა 20 მლრდ კუბურ მეტრამდე წელიწადში. TAP-ის აქციონერები არიან: „ბრიტიშ პეტროლიუმი“ (20%), „სოკარი“ (20%), „სტატოილი“ (20%), „ფლუქსისი“ (16%), „ტოტალი“ (10%), „ი.ონი“ (9%) და „აქსპო“ (5%).¹¹

¹¹ <http://en.trend.az/business/energy/2315601.html>

ირანი არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან ბენზინის ერაყში ტრანზიტს განახორციელებს

არაბთა გაერთიანებული საამიროების ბენზინის პირველი პარტია დაიტვირთა ირანის პორტში, რათა განხორციელდეს მისი ტრანზიტი ერაყში.

ირანული საინფორმაციო სააგენტოს „Mehr News Agency“-ის ცნობით, ტვირთის მოცულობა შეადგენს 24 მილიონ ლიტრ ბენზინს.

ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებამ (ცნობილია როგორც IS ან ISIS, ISIL) ერაყის გარკვეულ ადგილებში რამდენიმე ობიექტს დახურვა აიძულა, შესაბამისად ქვეყანას ესაჭიროება ბენზინის იმპორტი, რათა დააკმაყოფილოს შიდა მოხმარება.

კერძო სექტორი იღებს არაბთა გაერთიანებული საამიროების ბენზინის პარტიას ირანის პორტში და შემდეგ ახორციელებს იმავე მოცულობის ბენზინის ერაყის საზღვარზე გადატანას.



ერაყი ამჟამად განიცდის ბენზინის სერიოზულ დეფიციტს, ხოლო ირანის

კერძო სექტორი შექმნილი სიტუაციიდან გარკვეული სარგებლის მიღებას ცდილობს.

მაგრამ ირანის ბენზინის წარმოების საერთო მოცულობა ნაკლებია, ვიდრე მისი შიდა მოხმარება. შესაბამისად, კერძო კომპანიები იძულებულნი ხდებიან განახორციელონ ნავთობის გადაცვლა და ტრანზიტი.

ირანის მთავრობამ ოფიციალურად გასცა ლიცენზია მძიმე ნავთობის ბენზინზე და დიზელზე გაცვლვის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბაზარზე ზემოხსენებული პროდუქტის დეფიციტიდან გამომდინარე.

ირანს ესაჭიროება დაახლოებით დღეში 10 მილიონი ლიტრი ბენზინის იმპორტის განახორციელება, რათა დააკმაყოფილოს ქვეყნის შიდა მოხმარება, მაგრამ ამჟამად აღნიშნული რაოდენობის მხოლოდ ნახევარის იმპორტს ახდენს.

ქვეყანა მხოლოდ ევრო-4-ის სტანდარტის შესაბამის ბენზინის იმპორტს ახორციელებს. ევრო - 2 სტანდარტის მქონე ბენზინის იმპორტი ქვეყანაში აკრძალულია.

ირანის ეროვნული ნავთობპროდუქტების დისტრიბუციის კომპანიის (NIOPDC) ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის მოსტაფა კაშკოულის წინასწარი გათვლებით, მიმდინარე წელს ირანში ბენზინის მოხმარება დღეში 74 მილიონ ლიტრს მიაღწევს.

ამჟამად კი ქვეყნა დღეში დაახლოები 60 მილიონი ლიტრ ბენზინს აწარმოებს, შესაბამისად, დანარჩენი მოცულობა უნდა ჩანაცვლდეს იმპორტით.

ირანის ეროვნული ნავთობპროდუქტების დისტრიბუციის კომპანიის (NIOPDC) დირექტორის მოადგილემ შაჰროხ ხოსრავეანმა 9 ივნისს განაცხადა, რომ მომდევნო წელს ირანს შესაძლებლობა ექნება ექსპორტზე გაიტანოს დღეში დაახლოებით 20 მილიონი ლიტრი ბენზინი.

„მას შემდეგ, რაც სპარსული ნაკადის Gulf Star-ის ბენზინის წარმოება ამოქმედდება, ქვეყნაში ბენზინის მთლიანი წარმოების მოცულობა მიაღწევს დღეში 96 მილიონ ლიტრს და შესაბამისად, ირანს მიეცემა შესაძლებლობა ჭარბი პროდუქციის ექსპორტი განახორციელოს, რაც დაახლოებით დღეში 20 მილიონი ლიტრს ბენზინს შეადგენს.

მან ასევე აღნიშნა, რომ სპარსული ნაკადის Gulf Star-ის პირველი ეტაპი ამოქმედდება შემდეგი წლის ბოლოს - ირანული კალენდრის მიხედვით (2016 წლის 20 მარტი).¹²

საუდის არაბეთი 2010 წლიდან იყენებს ყველაზე ბევრ ნედლ ნავთობს ელექტროენერჯის წარმოებისთვის

„ერთიანი ორგანიზაციის მონაცემთა ინიციატივის“ (JODI) მიხედვით, საუდის არაბეთი არის იმ ქვეყნების ჯგუფიდან ერთ-ერთი, რომელიც ელექტროენერჯის საწარმოებლად წვავს ნედლ ნავთობს. ზაფხულის განმავლობაში საუდის არაბეთისთვის დამახასიათებელია ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა, რაც გამოწვეულია ჰაერის კონდიცირებაზე მოთხოვნის ზრდის შედეგად. საუდის არაბეთმა ივლისის თვეში დაწვა 0.9 მილიონი ბარელი/დღეში ნედლი ნავთობი. ეს მონაცემი არის ყველაზე მაღალი, რაც ოდესმე დაფიქსირებულა JODI-ის მონაცემებში ივლისის თვეში და ასევე, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთლიანობაში 2010 წლის აგვისტოს შემდეგ.

საუდის არაბეთმა 2009-2013 წლების ზაფხულის პერიოდში საშუალოდ მოიხმარა 0.7 მილიონი ბარელი/დღეში ნედლი ნავთობი. იმავე პერიოდში, შემდგომმა ორმა ნედლი ნავთობის ყველაზე დიდმა მომხმარებელმა ახლო აღმოსავლეთში, ერაყმა და ქუვეითმა, სათითაოდ საშუალოდ დაწვა დაახლოებით 0.08 მილიონი ბარელი/დღეში.

¹² <http://en.trend.az/iran/business/2315859.html>

ჩვეულებრივ, ქვეყნები უფრო მეტად მოიხმარენ ბუნებრივ გაზსა და ქვანახშირს ზაფხულში ელექტროენერჯის გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ საუდის არაბეთს არ გააჩნია ადგილობრივი ქვანახშირის წარმოება, ხოლო მისი ბუნებრივი გაზი არის ნავთობთან ერთად, ერთი ჭაბურღილიდან მოპოვებული გაზი. საუდის არაბეთის მცდელობას, გაზარდოს ხმელეთზე ბუნებრივი გაზის წარმოება, ხელს უშლის მისი პოვნისა და მოპოვების სირთულეები, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი გაზის მაღალი გოგირდის შემცველობასა და ადგილობრივ ბაზარზე მასზე დაბალ ფასებთან. შედეგად, უცხოური კომპანიებისათვის ბუნებრივი გაზის პროექტში ინვესტირება არაა მიმზიდველი.

ამავდროულად, ელექტროენერჯის წმინდა მოხმარება საუდის არაბეთში 2000 წელთან შედარებით ორჯერ მეტად გაიზარდა და 2012 წელს (უკანასკნელი ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით) მიაღწია 232 მლრდ კილოვატ საათს (კვტ/სთ). საუდის არაბეთის ეკონომიკა კვლავ განაგრძობს ზრდას. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2014 წლის პირველ მეოთხედში გაიზარდა 4.7%-ით, ხოლო 2013 წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებული იყო მშპს-ს 3.8%-იანი ზრდა. გარდა ამისა, საუდის არაბეთის სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრალური დეპარტამენტის გამოთვლებით, 2014 წელს ქვეყნის მოსახელობა გაიზარდა 2.6%-ით, ანუ გადააჭარბებს 30 მილიონს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნას.

საუდის არაბეთი გეგმავს მოახდინოს ენერჯის გამომუშავების წყაროების დივერსიფიკაცია და გააუმჯობესოს მთლიანი ენერგოეფექტურობა. 2032 წლისთვის იგეგმება დადგმული სიმძლავრის 58 გიგავატიდან 120 გიგავატამდე ზრდა, მზისა და ატომური ენერჯის წარმოების განვითარების საფუძველზე. ახალი და მომავალში ასაშენებელი ნავთობის ქარხნები მოწყობილი იქნება ისე, რომ გამოიმუშავოს უფრო მეტი დიზელი, რომლის ნაწილიც შესაძლოა ნედლი ნავთობის მაგივრად იქნეს გამოყენებული ელექტროენერჯის მისაღებად. The Wasit Gas Program-ი, ორი ოფშორული ბუნებრივი გაზის პროექტის განვითარებისა და ისეთი ქარხნის მშენებლობის ინიციატორი, შეძლებს აწარმოოს 2.5 მლრდ კუბური ფუტი/დღეში ბუნებრივი გაზი, რაც გაზრდის ელექტროენერჯის წარმოების შესაძლებლობას. ამასთანავე, 2010 წელს შეიქმნა „საუდის ენერგოეფექტურობის ცენტრი“, რომელიც პასუხისმგებელია ენერგოეფექტურობის პოლიტიკის განვითარებაზე.¹³


¹³ <http://www.hellenicshippingnews.com/saudi-arabia-uses-largest-amount-of-crude-oil-for-power-generation-since-2010/>

განახლებადების მაღალი ხარჯები

1998 წლიდან დღემდე განახლებადი ენერჯების განვითარებაზე გაწეულმა კაპიტალურმა დანახარჯებმა „უხეში გამოთვლებით“ 1.3 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ძირითადად ქარის ტურბინებისა და მზის პანელების დამონტაჟებას მოიცავს. არის თუ არა ეს დიდი თანხა და გონივრული ინვესტიცია? ამ თანხის სანაცვლოდ კიდევ რისი ფლობა შეეძლო მსოფლიოს?

ამ კითხვების განსახილველად სხვადასხვა გზა არსებობს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის წლიური მშპ ამ რიცხვზე ორჯერ მეტია და ამ გადმოსახედიდან, 15 წლის განმავლობაში დახარჯული 1.3 ტრლ. აშშ დოლარი გლობალური მასშტაბით დიდ რიცხვს არ წარმოადგენს. ზოგიერთმა შეიძლება იმაზეც იდავოს, რომ ამ კუთხით უფრო მეტი უნდა დახარჯულიყო. ამ თანხით ასევე შესაძლებელი იქნებოდა 50 “Hinkley Point”-ის ტიპის დაწნევითი წყლის რეაქტორის შექმნა, რაც მსოფლიო გენერაციას 163 გვტ სიმძლავრეს შემატებდა, ანუ, იმაზე 3-ჯერ მეტს, ვიდრე დიდი ბრიტანეთის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო.

ბევრი საუბარია განახლებადების ხარჯების მკვეთრ შემცირებასა და ბირთვული ენერჯების განვითარებაზე გაწეული ხარჯების შემცირების თაობაზე. რომ შევხედოთ



სიმძლავრეების დამონტაჟების ხარჯებს: ბირთვული ენერჯისთვის საჭირო ინვესტიცია 1 კვტ.სთ-ზე 8 000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ქარის სადგურისთვის - 2 000 აშშ დოლარს. თუმცა ეს რიცხვები სიმძლავრის დატვირთვის ფაქტორებისა (ბირთვული - 0.9, ქარის - 0.17) და სადგურების ოპერირების ხანგრძლივობის (ბირთვული

- 50 წელი, ქარი - 20 წელი) გათვალისწინებით უნდა დაკორექტირდეს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ქარის სადგურების დამონტაჟება 3-ჯერ ძვირი, ხოლო მზის სადგურებისა 10-ჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე ბირთვული სადგურებისა.

გრაფიკი 1: განახლებადებში ინვესტიციების სიჭარბე 2008 წლიდან ფიქსირდება, როცა ენერჯიაზე ფასები რეკორდულ დონეზე იყო, მოხდა უდიდესი ფინანსური კრიზისი და დიდმა ბრიტანეთმა კლიმატის ცვლილების აქტი მიიღო. მზის ენერჯიაში


განხორციელებული ინვესტიციები ქარის სადგურებისას აჭარბებს და ჯამურად 1.3 ტრილიონ აშშ დოლარს მოიცავს.

განახლებადებში განხორციელებულ ინვესტიციებზე ზუსტი და დეტალური წარმოდგენის შექმნა ფრიად რთული საკითხია. ძალიან დიდი სხვაობებია ინვესტიციებში სხვადასხვა პროექტებისა და ქვეყნების მიხედვით. ზემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია ქარისა და მზის სისტემების ხარჯების მიახლოებითი შედარება, რომელიც დაფუძნებულია აშშ-ს ეროვნული განახლებადი ენერჯის ლაბორატორიისა და აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე.

გრაფიკი 2: წარმოადგენს აშშ-ში ქარისა და მზის სადგურების დამონტაჟების მრუდებს. მზის ენერჯიაზე ხარჯები მკვეთრად მცირდება, რაც შესაძლოა პანელების წარმოების ხარისხის გამო დაკისრებული ჯარიმების შედეგი იყოს. თუმცა ქარის ენერჯის ხარჯები თითქმის გაორმაგებულია სტაბილური ზრდის ფონზე. ოფშორული სადგურების განვითარება ქარის სადგურების დამონტაჟების ხარჯებს სავარაუდოდ კიდევ უფრო გაზრდის.

პერსპექტივები

Hinkley Point-ის ტიპის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა, რომელიც დიდ ბრიტანეთშია დაგეგმილი, სავარაუდოდ 26 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების იქნება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს სავარაუდოდ არ შეესაბამება. თუმცა, სადგურის სიმძლავრე 3.26 გვტ იქნება, რაც კვირაში ელ.ენერჯის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმის 90%-ს უზრუნველყოფს, რაც მოთხოვნის მხარეს ელ.ენერჯიას დაახლოებით მომდევნო 50 წელი გარანტირებულად მიაწვდის. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქარისა და მზის სადგურებზე ამ დრომდე 1.3 ტრილიონი აშშ დოლარია დახარჯური, რითაც 50 Hinkley Point-ის რეაქტორების შექმნა შეიძლება. რა იქნებოდა აღნიშნულ შემთხვევაში უკეთესი გადაწყვეტილება?



ცხრილი 1

	დამონტაჟების ხარჯი აშშ დოლარ/კვტ	სიმძლავრის გამოყენების ფაქტორი	ხარჯი სიმძლავრის ფაქტორის გათვალისწინებით	სიცოცხლის ხანგრძლივობა	ყოველწლიური შესწორებული ფასი აშშ დოლარი/კვტ
ბირთვული	7976	0.9	8862	50	177
მზე	3500	0.095	36842	20	1842
ქარი	2000	0.166	12048	20	602

ცხრილში წარმოდგენილი გრაფიკების გათვალისწინებით ჩანს, რომ მზის სადგურების დამონტაჟება 10-ჯერ, ხოლო ქარის სადგურებისა 3-ჯერ აჭარბებს ბირთვული სადგურის ხარჯებს 1 კვტ-ზე გათვალისწინებით. წარმოდგენილი სიმძლავრის ფაქტორები მზისა და ქარის სადგურებისთვის აღებულია გერმანიის 2013 წლის მაჩვენებლებით.

რა თქმა უნდა, მხოლოდ დამონტაჟებაზე გასაწევი კაპიტალური დანახარჯების მსგავსი ზოგადი შეფასება, უბრალო გამრტივებისთვისაა წარმოდგენილი. მის გარდა ბირთვული სადგურთან დაკავშირებით ასევე დამატებით გასათვალისწინებელია საწვავის ხარჯი, საწვავის გამდიდრება, ნარჩენების მართვა და ექსპლუატაციიდან გამოსვლა. მსგავსი დამატებითი ხარჯ-ფაქტორები ახასიათებს მაგალითად ოფშორულ ქარის სადგურებსაც.¹⁴

¹⁴ <http://oilprice.com/Alternative-Energy/Renewable-Energy/The-High-Cost-Of-Renewables.html>